<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული სამი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის სახელმწიფო მოღვაწის ფარიხან სოფიევას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას, მასთან არსებულ სამ შესახვევს და ერთ ჩიხს მიენიჭოს სახელმწიფო მოღვაწის ფარიხან სოფიევას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


1 : 2419
84.00.026
01.01.781
01.01.834
01.00.039
01.00.324
81.03.17.924
81.03.12.071
81.03.11.343
81.03.11.001
81.03.11.380
81.03.11.029
81.03.11.277
81.03.11.274
81.03.11.415
81.03.11.425
81.03.11.278
81.03.11.794
81.03.11.846
81.03.11.044
81.03.11.526
81.03.11.527
81.03.11.383
81.03.11.317
81.03.11.319
81.03.11.400
81.03.11.441
81.03.11.408
81.03.11.549
81.03.11.548
81.03.11.547
81.03.11.010
81.03.11.596
81.03.11.131
81.03.11.1003
81.03.11.1004
81.03.12.539
81.03.12.586
81.03.12.503
81.03.12.576
81.03.12.404
81.03.12.403
81.03.12.469
81.03.12.415
81.03.12.575
81.03.12.580
81.03.12.563
81.03.12.635
81.03.12.716
81.03.12.735
81.03.12.795
81.03.12.766
81.03.12.669
81.03.12.683
81.03.12.675
81.03.12.677
81.03.12.676
81.03.12.682
81.03.12.689
81.03.12.679
81.03.00.325
81.03.00.322
81.03.00.338
81.03.17.037
81.04.33.086
81.03.17.900
81.03.17.901
81.03.17.905
81.03.17.904
81.03.17.902
81.03.17.898
81.03.12.945
81.03.12.636
81.03.12.946
81.03.12.408
81.03.12.912
81.03.12.435
81.03.12.434
81.03.12.416
81.03.12.394
81.03.12.509
81.03.12.433
81.03.17.006
81.03.12.55
81.03.12.527
81.03.044.003
81.03.17.930
81.03.17.907
81.03.17.908
81.03.17.909
81.03.17.910
81.03.17.895
81.03.17.061
81.03.17.063
81.03.17.923
81.03.12.342
81.03.12.332
81.03.12.190
81.03.12.124
81.03.12.114
81.03.12.628
81.03.12.629
81.03.12.683
01.18.13.024.090
01.18.13.024.007
01.18.13.037.069
01.18.13.037.030
01.18.12.037.018
01.18.13.037.100
01.18.13.037.100
NAPR
მარნეულის გზატკეცილი
მეფე ლეონტაბ I-ის ქუჩა
მერაბ ნიქაბაძის ქუჩა
ოთარ დავითაიძის ქუჩა

ფარიხან სოფიევა

(1884-1953)

თბილისის მაზრის ერობის წევრი ყარაჯალარიდან, პირველი არჩეული მუსლიმი ქალი დეპუტატი მსოფლიოში

ფარიხან სოფიევა 1884 წელს, საქართველოს აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელ ყარაჯალარში დაიბადა. მეფის რუსეთის დროს დიდი პოპულარობით გამოჩენილი სოფიევა, 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ გამართულ საპარლამენტო არჩევნებში, თავის მშობლიურ რეგიონში დაამარცხა საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის კანდიდატი და გახდა ეროვნული კრების დამოუკიდებელი წევრი. მიუხედავად იმისა, რომ სოფიევა აქტიური პერსონა იყო და დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა, მასზე ძალიან მცირე ინფორმაცია მოეპოვება.

ფარიხან სოფიევა, 9 შვილიან ოჯახში ერთადერთი გოგო იყო. მეფის რუსეთის დროს, სოფიევა თავისი ძმების ხელმძღვანელი იყო, რითაც დიდი პოპულარობა მოიპოვა. ბანკიდან აღებული სესხით, სოფელში ობოლ ბავშვთა სახლი გახსნა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს პარლამენტში აირჩიეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ წარმოებული კვლევის დროს, ისტორიკოსი აკაკი ხვადაგიანი ტიფლისის გუბერნიიდან არჩეულ დეპუტატთა სიაში აღმოაჩინა მუსლიმი ქალის გვარი. იგივე გვარი აღმოაჩინა ხვადაგიანმა სოციალისტ-ფედერალისტთა ოფიციალურ გაზეთში. ასე გახდა ცნობილი ისტორიისთვის პირველი ქალი დეპუტატი მუსლიმური სამყაროდან. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში გარდამავალმა ხელისუფლებამ ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმა დაიწყო, რომელიც მიმდინარეობდა მძიმე პოლიტიკური ვითარების ფონზე, ხოლო საქართველოში რეალური ვითარება არ შეიცვალა იქამდე, სანამ ქვეყანა დამოუკიდებლობა არ გამოაცხადა. 1918 წლის 26

მაისს, საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ამის შედეგად ქვეყანაში პირველი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. ამ დროს, ტიფლისის გუბერნიის ყარაჯალარის ოლქიდან, ფარიხან სოფიევა ყველა დანარჩენ კანდიდატს აჯობა და არჩევნები მოიგო. ცნობილია, რომ ერობის წევრობისას მან მშობლიურ სოფელში რკინიგზის სადგურის აშენებას მიაღწია.

1921 წელს, საბჭოთა ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად, ეროვნული კრების წევრების ქონება დაყადაღდა. ფარი ხანუმის ახლობლების ინფორმაციით, მას საბჭოთა კავშირი და საბჭოთა სისტემა ეზიზღებოდა. სტალინის რეპრესიების დროს, სოფიევას 8 ძმიდან 5 დახვრიტეს და საერთო საფლავში დამარხეს. მათი გვამები დღემდე არ არის ნაპოვნი.

1953 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა, მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მისი ერთ-ერთი ძმიშვილი დააკავეს.